პროექტი თემაზე - დაზოგვა (ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა)

შესავალი ღონისძიება

შესავალი ღონისძიების მიზანია, რომ მოსწავლეებს წარვუდგინოთ პრობლემა, ვიზუალური მასალის გამოყენებით, ვაჩვენოთ აღნიშნული პრობლემის უარყოფითი შედეგები. ვცდილობთ, რომ წამოჭრილი საკითხი მაქსიმალურად დავუკავშიროთ მათ ყოველდღიურობას. ნათლად ვაჩვენოთ, რომ პრობლემის გადასაჭრელად ნაბიჯების გადადგმა თავადაც შეუძლიათ. ამაში ახალი მასალის გაცნობა და გაანალიზება დაეხმარებათ.

შესავალი ღონისძიების დეტალური გეგმა იხილეთ პირველ გაკვეთილში.

პირველი გაკვეთილი

დრო	აქტივობა	აქტივობის აღწერა
2 წთ	კლასის ორგანიზება (საკლასო ოთახის მოწყობა, პროექტის გაცნობა)	პირველი გაკვეთილისათვის მოსწავლეები სხდებიან წრეზე. (სკამების წრიული განლაგება უზრუნველჰყოფს კლასის განწყობის ცვლილებასა და განსხვავებული გარემოს ფორმირებას, სადაც მოსწავლეები იგრძნობენ თანასწორობას,თანაბარ უფლებებსა და პასუხისმგებლობას). მასწავლებელიც მათ შორის ჯდება.

10 წთ	შესავალი ღონისძიებისათვის მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს ახალ თემას. ახალი თემა კი ისეთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხება, როგორიცაა ფულის დაზოგვის მნიშვნელობა და აუცილებლობა. პლატფორმაზე ჩემ მიერ შექმნილია თამაში დაზოგვის საკითხებზე, რითიც ვამოწმებ რა ცოდნა აქვთ დაზოგვასთან დაკავშირებით და ხდება ე.წ. warm up activity. იხ.დან.1.1 (II სლაიდი)	**სოკრატული მეთოდი** -აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი სვამს პრობლემურ შეკითხვას, რომ მოცემული საკითხის შესახებ წაახალისოს მოსწავლეთა აზროვნება. მასწავლებელს მოჰყავს დამხმარედ საწინააღმდეგო მაგალითები მოცემული პრობლემის საილუსტრაციოდ. მსგავსი მეთოდი გვეხმარება დისკუსიის წამოწყებაში. **მენტალური მოდელის დადგენა- კოგნიტური დისონანსის გამოწვევა**-მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება რომ გაკვეთილს თამაშით დაიწყებს, საინტერესოა იციან თუ არა დაზოგვის შესახებ ინფორმაცია, უხსნის წესებს და რთავს მათ თამაშში. თამაშის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას, რამდენად ხშირად ხარჯავენ მოსწავლეები ფულს ნებისმიერ რამეში, რაც მოეწონებათ და ნებისმიერი სახის გასართობში. პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ალბათ სმენიათ ფულის სწორად ხარჯვასა და დაზოგვაზე, მაგრამ უფრო კონკრეტულად თუ იციან, რა არის დაზოგვა და

		რატომ არის კარგი ფულის დაზოგვა? მოსწავლეები თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ, მასწავლებელი აქტიურად ერთვება, სთხოვთ გაიხსენონ ცხოვრებისეული მაგალითები, იხსენებენ როგორ და რაში ხარჯავენ ფულს, ზოგავენ თუ არა და რა შემთხვევაში და რომელია უმჯობესი? მასწავლებელი ცდილობს შეაგროვოს საჭირო ინფორმაცია, მოსწავლეებს გაახსენოს ფულის დაზოგვისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და ყურადღება გაამახვილოს მის სარგებელზე, შემდეგ კი ხელახლა ისმენს მათ ვარაუდებს.

10 წთ	მოსწავლეების ქმედებისკენ აღძვრა დამატებითი ინფორმაციის მიწოდების გზით	მესამე სლაიდზე გადასვლისას მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ფულის დაზოგვა იმაზე დიდ გავლენას ახდენს ბიუჯეტზე და იმაზე მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოუდგენიათ. მაგალითად, უზიარებს მის ირგვლივ მაგალითებს, როგორ შეძლეს მოსწავლეებმა დაზოგილი თანხით

	იხ.დან.1.1 (III, IV სლაიდი)	სასურველი ბოტასის, ლეპტოპის და სათამაშოს შეძენა. შემდეგ სხვამს კითხვას თვითონ დაუზოგავთ თუ არა ფული და რატომ ? თუ დაუზოგავთ როგორ და რაში გამოუყენებიათ დაზოგილი თანხა? პასუხების მოსმენის შემდეგ კი, განავრცობს IV სლაიდზე ნაჩვენებ ფოტოს, უცხოეთის კვლევის შედეგებს რამდენი პროცენტი ზოგავს თანხას და რატომ და ეკითხება როგორ ფიქრობენ რა სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში?

8 წთ.	პრობლემის იდენტიფიცირება და ანალიზი იხ.დან.1.1 (V სლაიდი)	მოსწავლეებს ალბათ გაუკვირდათ ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება, ამიტომ გამოიწვიეთ დისკუსიაში. დასვით კითხვა “თქვენი აზრით,რამ უნდა მოახდინოს გავლენა ადამიანზე რომ დაიწყოს დაზოგვა და როგორ უნდა დაზოგოს ფული?” „რა არის საქართველოში დაზოგვის პრაქტიკის მწირი

		გამოცდილებისა?“ ეცადეთ, დისკუსიაში ჩართოთ ყველა მოსწავლე.

	ვიდეოს განხილვა იხ.დან. 1.1 (VI სლაიდი) https://www.youtube.com/watch?v=JqYoLQXO7j4&t=7s	მეექვსე სლაიდზე მოცემულია ვიდეო ორ ძმაზე, რომელშიც ნათლად არის ნაჩვენები, როგორ მუშაობს დაზოგვა და რა დადებითი შედეგები მოაქვს. როგორ უნდა განვასხვავოთ საჭიროებები და სურვილები. (ვიდეო ინგლისურენოვანია, მაგრამ თარგმნის პედაგოგი) ვიდეოს ყურების დროს მოსწავლეებს მიაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია ვიდეოში მოცემული პროცესის შესახებ.

5წთ	**მიმმართველი კითხვის დასმა** “რა გავლენას ახდენს დაზოგვა ჩვენს ბიუჯეტზე?, რა მნიშვნელობა აქვს დაზოგვას და როგორ უნდა დავზოგოთ ფული?, რა მდგომარეობა საქართველოში დაზოგვის კუთხით და როგორ ვასწავლოთ ადამიანებს დაზოგვის მარტივი გზები?“	მოსწავლე (მასწავლებლის ასისტენტი) სვამს მიმმართველ შეკითხვებს, რომელიც განხილულ საკითხებს ეფუძნება, წარმოდგენლია ღია დასასრულით და მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრისკენ, ქმედებისკენ მიუთითებს.

10წთ	მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეავსონ კოგნიტური დიაგრამა და მოიფიქრონ დაზოგვის კრეატიული გზები. იხ.დან. 1.1 (VII სლაიდი)	**შებრუნებული საკლასო ოთახი** ამ ეტაპზე მივმართავთ შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელს, ვინაიდან მათ გამოიმუშაონ გუნდური მუშაობის, მსჯელობისა და ანალიზის უნარები. თავად იფიქრონ დასმული პრობლემის გამომწვევი მიზეზებისა და მოგვარების გზების შემუშავებაზე.

მეორე გაკვეთილი

დრო	აქტივობა	აქტივობის აღწერა
20 წთ	გონებრივი იერიში, შემდეგ მინი ქეისის განხილვა და ანალიზი - კონკრეტული პრობლემის იდენტიფიცირება და პრობლემის გადაჭრა იხ.დან. 1.1 (VIII სლაიდი)	გაკვეთილს ვიწყებთ კითხვების დასმით: “რა პრობლემაა ქეისში და როგორ უნდა გადაჭრან ეს პრობლემა?“ მთავარი აქცენტი კეთდება სწორედ მიმმართველ კითხვასა და დასმულ პრობლემაზე. შეგიძლიათ, მიმმართველი კითხვა დაწეროთ დაფაზე და მოსწავლეების პასუხები მიამატოთ, ან გამოიყენოთ ფლივჩარტი. დამაზუსტებელი კითხვებით მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებს დაეხმაროს მასალის გააზრებასა და ცოდნის კონსტრუირებაში. ხსნიან და აანალიზებენ ქეისს.

25 წთ	მასწავლებელს მომზადებული აქვს ცარიელი პრეზენტაციის ფაილი, შესაბამისი ფოტო მასალით, ის ბავშვებთან ერთად აწყობს პრეზენტაციას და ახდენს ცოდნის გენერირებას, აღნიშნულ მასალაზე. (პრეზენტაცია შეიძლება მაგალითადაც გამოადგეთ საბოლოო პრეზენტაციისათვის) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას - მოამზადონ ფლაერი ან ვიდეო რგოლი დაზოგვის გზებზე.	სინთეზი, ცოდნის გადატანა მოსწავლეები უკეთ გაიაზრებენ მიღებულ ცოდნას, მიიღებენ პასუხებს კითხვაზე, თუ როგორ გადაჭრან პრობლემებ დამოუკიდებლად, ასევე ამ ყველაფერს დაუკავშირებენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. **შებრუნებული საკლასო ოთახი** მოსწავლეებმა უნდა შექმნან „ფლაერი“ ან ვიდეო რგოლი (მათ არჩევანის მიხედვით), სადაც ჩამოწერილი იქნება ზუსტი რჩევები, რაც მოსწავლეებს დაზოგვაში და ბიუჯეტის სწორად მართვაში დაეხმარებათ. *იწყებენ მონახაზს კლასში და ამთავრებენ სახლში.*

მესამე გაკვეთილი

დრო	აქტივობა	აქტივობის აღწერა
30 წთ	მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად განიხილავენ დავალებას, მასალას, უზიარებენ ერთმანეთს დამზადებულ ფლაერს ან ვიდეო რგოლს და მსჯელობენ.	მასწავლებელიც აქტიურადაა ჩართული მუშაობაში, მან თავისი მომზადებული ფლაერიც მოიტანა, ფურცელზე ჩამოწერილი აქვს ბავშვების სახელები, შემთხვევითობის წესით არჩევს მოსწავლეებს, მოსწავლეები თავიანთი ფლაერის ან ვიდეო რგოლის დახმარებით, საუბრობენ დაზოგვის გზებზე.

10 წუთი	მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს გარესამყაროსთან ინტერაქციისთვის. გარე სამყაროსთან ინტეგრაცია მოიცავს კვლევას - ინტერვიუების აღებას ახლობლებისგან, ნაცნობი და უცნობი ადამიანებისგან. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს იმ კითხვებს, რომლებიც ინტერვიუს დროს უნდა დასვან. ინტერვიუს ფარგლებში ბავშვი იწერს ბლოკნოტში ან ხმის (ვიდეოს) ჩამწერი მოწყობილობით ინფორმაციას, რომელსაც აწვდიან	**გარესამყაროსთან ინტერაქცია** - მოცემული აქტივობის მიზანია, ხელი შეუწყოს მიღებული ცოდნის გარესამყაროსთან დაკავშირებას. ასევე, კომუნიკაციის უნარის განვითარებას. სხვების (შესაძლებელია მათგან განსხვავებული) აზრის მოსმენას, გადამუშევაბასა და გაანალიზებას. საზოგადოებრივ აზრზე შთაბეჭდილების შექმნას. კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენებას მიზნის შესაბამისად. კითხვების ერთობლივად შემუშავებისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ მოსწავლეების იდეები. ამ შემთხვევაში მასწავლების მოვალეობაა, რომ დაეხმაროს კითხვის სწორად ფორმულირებაში და არ შესთავაზოს მზა კითხვები. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ფიგურირებდეს ორი კითხვა: 1. თქვენი აზრით, რატომ არის დაზოგვა აუცილებელი? 2. გიფიქრიათ თუ არა, რა უარყოფითი შედეგი შეუძლია გამოიწვიოს ფულის არასწორად ხარჯვამ?

	რესპონდენტები და აანალიზებს მას. ინტერვიუ აუცილებლად მიმდინარეობს კლასგარეშე საქმიანობის ფარგლებში, საშინაო დავალების სახით. ბავშვს ევალება გაშიფრული ინფორმაცია შემდგომ რვეულში გადაიტანოს და შემდეგ გაკვეთილზე მოიტანოს.	3. ცდილობთ თუ არა დაზოგოთ თქვენი ყოველდღიური ბიუჯეტი? ასევე, შეგვიძლია, რომ დავამატოთ სხვა კითხვებიც.

5 წუთი	იმიტირებული ინტერვიუს გათამაშება იმისათვის, რომ მოსწავლეები გაერკვნენ, როგორუნდა დაუსვან კითხვა	

	რესპონდენტს. მასწავლებელი საშინაო დავალებად აძლევს მასალას დანართი---ჩაატარონ კვლევა - ინტერვიუირება (მეგობრებში, სკოლაში ან ოჯახში, ზოგავენ თუ არა ფულს და თუ კი, როგორ) - ინტერვიუირება	

მეოთხე გაკვეთილი

დრო	აქტივობა	აქტივობის აღწერა

30 წუთი	**გამოკითხვის შედეგების ანალიზი-** თითოეულ მოსწავლეს ვუთმობთ 1-2 წუთს. **მოსწავლემ უნდა ისაუბრობს:** 1. გამოკითხვის ჩატარებისა და ანალიზის შედეგად რა დასკვნა გამოიტანა. 2. მიმმართველ კითხვაში მოცემული პრობლემის გადაჭრის რომელი გზაა მისთვის ყველაზე შედეგიანი.	მოსწავლეები ივითარებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ანალიზის უნარს. ამასთანავე, სწავლობენ, როგორ უნდა ჩამოაყალიბონ აზრი მოკლედ და არ გამორჩეთ მთავარი. მნიშნელოვანია ისიც, რომ მიღებულ ცოდნასა და ინფორმაციაზე დაყრდნობით თითოეული მოსწავლე შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრის თავისებურ სტრატეგიას. ეს პროექტის უმნიშვნელოვანები ეტაპია, რადგან მოსწავლის კრეატიულობა, კრიტიკული ანალიზის უნარი ვითარდება აღნიშნული მეთოდით. მსჯელობენ შემდეგი საკითხების ირგვლივ - რა გავლენას ახდენს დაზოგვა ჩვენს ბიუჯეტზე?, რა მნიშვნელობა აქვს დაზოგვას და როგორ უნდა დავზოგოთ ფული?, რა მდგომარეობაა საქართველოში დაზოგვის კუთხით და როგორ ვასწავლოთ ადამიანებს დაზოგვის მარტივი გზები?“ რა ახალი ინფორმაცია მიიღეს აღნიშნული პრობლემის შესახებ.

		გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეების პასუხების მოსმენისას მასწავლებელი უნდა იყო ყურადღებით, დაკვირვებით მოისმინოს თითოეული მოსწავლის სტრატეგია და ერთნაირი სტრატეგიის მქონე მოსწავლეები დააჯგუფოს.

5 წუთი	**როლების გადანაწილება** 4-5 კაციან ჯგუფებად დაკომპლექტებულ მოსწავლეებს მასწავლებელი ანიჭებს შემდეგ როლებს: • ლიდერი, • ანალიტიკოსი (1 ან 2), • პრეზენტატორი,	ჯგუფური მუშაობისას მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს კონკტერულად მისთვის განკუთვნილი პასუხისმგებლობა და ამასთანავე გუნდის სხვა წევრებთან ერთად კოლაბორაციულად იმუშაოს. სწორედ ამ მიზნით მოსწავლეებს ვანიჭებთ როლებს.

	• (პროგრამისტი)	

10 წუთი	**როლების რუბრიკების გაცნობა** იხ. (დან.1, დან.2, დან.3, დან.4) *(როლების შეფასების რუბრიკები არ არის ჩემ მიერ შექმნილი საავტორო, გამოყენებულია სხვის მიერ სხვა პროექტების ფარგლებში შექმნილი როლების შეფასების რუბრიკები.)*	მოსწავლეებს ვაცნობთ თითოეული როლის დეტალურ აღწერას (რა ევალება თითოეულს, რა არის თითოეულის მიზანი და ა.შ.) გუნდების ფორმირების შემდეგ მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ წარმოიდგინონ, რომ უნდა დაეხმარონ თავიანთ სოციუმს (ოჯახის წევრებს, სკოლელებს ან მეგობრებს) დაიწყონ დაზოგვა და ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა.

მეხუთე გაკვეთილი

დრო	აქტივობა	აქტივობის აღწერა
25 წთ	მოწვეული სტუმარი იქნება ბანკის წარმომადგენელი, ის წარუდგენს მოკლე პრეზენტაციას ბავშვებს, დაზოგვის მნიშვნელობაზე.	სტუმრის მოწვევა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, მოახდინონ ცოდნის გენერირება, უკვე ნასწავლი და გააზრებული საკითხები სხვა ჭრილშიც დაინახონ, უკეთ გაიაზრონ იმ პრობლემის აზრი რომელიც პროექტშია წარმოჩენილი, დასახონ სწორი სტატეგიები პრობლემის გადასაჭრელად.

20 წთ	**კითხვები და დისკუსია-** მოსწავლეები დაუსვამენ შეკითხვებს სტუმარს, აქტუალურ საკითხებზე, მათი ინტერესის სფეროდან.	სტუმარი დისკუსიის პროცესში შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს, გადააწყვეტინოს ან იდეები მიაწოდოს საბოლოო პროდუქტისთვის.

მეექვსე გაკვეთილი

დრო	**აქტივობა**	**აქტივობის აღწერა**

25 წთ.	ბავშვები მუშაობენ გუნდებში და ემზადებიან კონკრეტული პრეზენტაციისათვის. საბოლოოდ აყალიბებენ, პრობლემის გადაჭრის რა გზებს მიაგნეს. ანუ ინტერვიუს ანალიზის შედეგად - რა პრობლემები გამოიკვეთა სოციუმში ფულის დაზოგვასთან დაკავშირებით და კონკრეტულად რა ნაბიჯებს დგამენ, რა შექმნეს ამ ადამიანების ცნობიერების ასამაღლებლად.	მეტაკოგნიცია, კოლაბორაცია, გუნებრივი იერიში გუნდის წევრებს შორის ფუნქცია-მოვალეობები გადანაწილებულია, შესაბამისად, თითოეული მიჰყვება თავის რუბრიკას, რა შედის მის მოვალეობაში. თუმცა კოლაბორაციის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენენია მუშაობა, ამიტომ მუდმივად ინარჩუნებენ ერთმანეთთან აქტიურ კომუნიკაციას. გაკვეთილზე აუცილებლად დასჭირდებათ ინტერნეტი, რომ დამატებითი ინფორმაციით შეავსონ თავიანთი სამუშაო. ანალიტიკოსი მოიძიებს ინფორმაციას, მიღებული ინფორმაცია პრეზენტაციის სპეციალისტს გადააქვს სლაიდებში. ლიდერი აკონტროლებს, რომ სამუშაო შედეგებს არ გაცდნენ და აკვირდება დროს. გუნდის სამუშაო გეგმა შემდეგნაირად უნდა განაწილდეს: 1. გუნდი კიდევ ერთხელ ასახელებს მათთვის დასმულ პრობლემას. 2. ანალიტიკოსი მოიძიებს დამატებით ინფორმაციას პრობლემის გადაჭრის გზებისა და გამოცდილების შესახებ.

		3. გუნდის წევრები გონებრივი იერიშის მეშვეობით ჯერ გაანალიზებენ მოძებულ ინფორმაციას, შემდეგ კი შეჯერდებიან პრობლემის გადაჭრის სტრატეგიაზე. 4. იწყებენ იდეის განხორციელებას.

10 წთ.	მასწავლებლისთვის შესრულებული სამუშაოს წარდგენა და რეკომენდაციების ჩანიშვნა.	გუნდების მუშაობის პარალელურად მასწავლებელი გადაინაცვლებს ერთი ჯგუფიდან მეორეში. იგი, ერთი მხრივ, აკვირდება პროცესს, მეორე მხრივ, აძლევს რეკომენდაციებს. მნიშნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მასწავლებელი არ სთავაზობს მოსწავლეებს საბოლოო პროდუქტს. მასწავლებელი მუდმივად ცდილობს, შეახსენოს პრობლემა და პრობლემის რაც შეიძლება ეფექტიანად გადაწყვეტისკენ მოუწოდოს.

5 წთ.	საბოლოო პრეზენტაციის გეგმის შედგენა	მოსწავლეები კლასში ჯგუფურად მუშაობის ბოლოს შეაჯამებენ, რა მასალა აქვთ დამუშავებული, რა შედეგებზე გავიდნენ, რა დარჩათ გასაკეთებელი. დასახავენ გეგმას, გადაინაწილებენ მოვალეობებს და გაწერენ ვადებს.
5 წთ.	**თვითშეფასება** თვითშეფასების ფორმა (დან.5)	მასწავლებელი მოსწავლეებს უგზავნის თვითშეფასების ფორმას და სთხოვს, რომ გაიაზრონ და შეავსონ გულწრფელად.

მეშვიდე გაკვეთილი

დრო	**აქტივობა**	**აქტივობის აღწერა**

45 წთ.	პროექტის პრეზენტაცია	ბავშვების მიერ დამუშავებული პროექტების პრეზენტაცია სავალდებულოა, რომ გაკეთდეს აუდიტორიისათვის, რომელთანაც არ აქვთ ყოველდღიური შეხება (სხვა კლასი, უფროსი კლასი)მოსწავლეების პრეზენტაციის სახით წარმოადგენენ, რა მასალას შეეხებოდა მათი პროექტი, პრობლემის გადაჭრის რა სტრატეგიები შეიმუშავეს, როგორ განახორციელეს ის და რა შედეგზე გავიდნენ. წარადგენენ ასევე პროექტის ფარგლებში შექმნილ პროდუქტს *(პროდუქტის ფორმატი მთლიანად მოსწავლეების არჩევანზეა დამოკიდებული აღებული თემიდან და პრობლემიდან გამომდინარე - დაზოგვის გზების მიწოდება თანატოლებისთვის და ცნობიერების ამაღლება ეს შეიძლება იყოს სამაგიდო თამაშიც, ვიდეო რგოლიც, რომელიც სკოლაში იტრიალებს, აპლიკაციაც და ა.შ.*). პრეზენტაციის მომზადებისათვის უნდა გამოიყენონ ტექნოლოგიები და ასევე სავალდებულოა, რომ შედეგი იყოს ხელშესახები და გაზიარებადი.

		შესაბამისად, სასურველია, რომ პრეზენტაციები და შედეგები პარალელურად გამოქვეყნდეს სპეციალურად გაკეთებულ ბლოგზე, სკოლის გაზეთში , ფეისბუქ გვერდზე, შეიქმნას ბროშურა, პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლეები ახდენენ სამუშაოების თვით შეფასებას, რუბრიკების მეშვეობით. მასწავლებელი გუნდებსა და მოსწავლეებს 21-ე საუკუნის უნარების მიხედვით აფასებს. ასევე პროგრამის მიხედვით შესასწავლი ცოდნის ხარისხს ამოწმებს.